

၉၈၈၅၅

სტივენ კინგი

ბნელი კოშკი
უნაყოფო გინები

ნიბნი პირველი

სტივენ კინგი
უნაყოფო მიწები (I)
ბნელი კოშკი 3

Stephen King
THE WASTE LANDS (I)
THE DARK TOWER 3

ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ

გარეკანის დიზაინერი ბესიკ დანელია

© Stephen King, 1991, 2003
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-495-3
www.diogene.ge

მესამე ტომს მაღლიერებით ვუძღვნი ჩემს ვაჟს

ოუენ ფილიპ კინზს:

ხეფი, კა და კა-ტეტი

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა	9
წიგნი პირველი – ჯეიკი	
ერთი პეშვ მტვერში დაგუბებული შიში	17
I დათვი და ძვალი	19
II გასაღები და ვარდი	135
III კარი და დემონი	227

ავტორის წინასიტყვაობა

„უნაყოფო მინები“ მესამე ტომია გრძელი ამბისა, რომელიც რობერტ ბრაუნინგის ეპიკური პოემის – „ჩაილდ როლანდი ბნელ კოშკს მიადგა“ – შთაგონებით შეიქმნა და გარკვეულწილად მასვე ეფუძნება.

პირველ ტომში, „მსროლელში“, მოთხრობილია როლანდის, უკანასკნელი მსროლელის, შესახებ, რომელიც „დაძრულ“ სამყაროში შავსამოსიან კაცს, გრძნეულ უოლტერს მისდევს და საბოლოოდ შეიპყრობს კიდევ. შუა-სამყაროს ერთიანობის ჟამს უოლტერი როლანდის მამის მეგობრად ასაღებდა თავს. ამ ნახევრად ადამიანი ჯადოქრის შეპყრობა როლანდის საბოლოო მიზანი კი არა, მხოლოდ მორიგი ნიშანსვეტია დროის შუაგულში მდგარი ძლევამოსილი და იდუმალი ბნელი კოშკისკენ მიმავალ გზაზე.

ვინ არის ეს როლანდი? როგორი იყო მისი სამყარო, სანამ დაიძვრებოდა? რა არის ბნელი კოშკი და რატომ ეძებს მას როლანდი? ჩვენ ამ კითხვებზე მხოლოდ არასრული პასუხები გავგაჩნია. ამკარაა, რომ როლანდი ერთგვარი რაინდია, ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც სამყაროს შენარჩუნება (ან, სულაც, ხსნა) ეკისრება, სამყაროსი, რომელიც როლანდს „სიყვარულითა და სინათლით აღსავსე“ ახსოვს. მართლაც ისეთი იყო თუ არა ეს სამყარო, როგორიც როლანდს ახსოვს? ამ კითხვაზე ჯერჯერობით ზუსტი პასუხი არ გვაქვს.

ვიციტ, რომ როლანდი იძულებული შეიქნა, საკუთარი ძალები ადრეულ ასაკში გამოეცადა და დავაჟკაცებულიყო, რადგან დედამისი უოლტერზე უფრო ძლიერი ჯადოქრის, მარტენის, საყვარელი გახდა; ვიციტ, რომ მარტენმა განგებ გააგებინა როლანდს დედის ლალატი, რადგან ფიქრობდა, დაკაცების გამოცდას ვერ გაუძლებს, ხელი მოეცარება და უნაყოფო მიწებზე, დასავლეთში განდევნიანო; ვიციტ, რომ როლანდმა მარტენს გეგმა ჩაუშალა, რადგან გამოცდას გაუძლო.

ისიც ცნობილია, რომ როლანდის სამყარო ჩვენისგან არსებითად არ განსხვავდება, მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული და ხანდახან ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლაც შეიძლება.

უდაბნოში გამავალ, მიტოვებულ გზაზე მდებარე საფოსტო სადგურში როლანდი ბიჭუნას, სახელად ჯეიკს, ხვდება. ბიჭუნა ჩვენს სამყაროში გარდაიცვალა; შუა მანჰეტენზე, ქუჩის კუთხეში მდგარ ჯეიკს ხელი ჰკრეს და გზაზე მომავალ მანქანას ბორბლებში შეუგდეს. ჯეიკ ჩეიმბერსს სიკვდილის წინ შავსამოსიანი კაცი – უოლტერი – ადგას თავზე. ის ბოლოა, ვინც ჯეიკმა სიკვდილამდე და როლანდის სამყაროში გაღვიძებამდე ნახა.

ვიდრე როლანდი და ჯეიკი შავსამოსიან კაცს დაენევიან, ჯეიკი ხელახლა კვდება... ამჯერად მსროლელის გამო, რომელიც ცხოვრებაში მეორედ აღმოჩნდება მტკივნეული არჩევანის წინაშე და სიმბოლურ ძეს შესწირავს მსხვერპლად. კოშკსა და ბავშვს შორის როლანდი კოშკს აირჩევს. ვიდრე უფსკრულში ჩავარდება, ჯეიკი მსროლელს ეუბნება: – „მაშ, წადი, ამის გარდა, ბევრი სხვა სამყაროც არსებობს“.

როლანდსა და უოლტერს შორის ბოლო დაპირისპირება გამოფიტული ძვლებით მოფენილ მტვრიან გოლგოთაზე იმართება. შავსამოსიანი კაცი როლანდს ტაროს კარტით უმკითხავებს. როლანდის ყურადღებას სამი უჩვეულო კარტი იქცევს: „პატიმარი“, „ჩრდილების ქალბატონი“ და „სიკვდილი“ („ოლონდ შენი არა, მსროლელი“, – ეუბნება მას უოლტერი).

მეორე ტომი, „სამის გამორჩევა“, დასავლეთის ზღვის პირას იწყება როლანდის უოლტერთან დაპირისპირების დასრულებიდან

არც ისე დიდი ხნის შემდეგ. არაქათგამოცილი მსროლელი შუაღამისას იღვიძებს და ხედავს, რომ მოქცევას მხოხავი, ხორცის მჭამელი არსებების – „კიბოურჩხულების“ – ურდო მოჰყოლია. ვიდრე სანაპიროდან და მათგან გაქცევას მოასწრებს, როლანდი მიძიმედ დაშვავდება, საშინელი არსებები მარჯვენა ხელზე ორ თითს მოაჭამენ და თავიანთი შხამით მონამლავენ. მსროლელი დასავლეთის ზღვას ნაპირ-ნაპირ მიუყვება და ჩრდილოეთისკენ მიდის. გზაში მისი მდგომარეობა თანდათან უარესდება. როლანდი თითქმის სიკვდილის პირამდე მიდის.

სანაპიროზე იგი სამ კარს გადაეყრება. სამივე კარი (მხოლოდ და მხოლოდ როლანდისთვის) ჩვენს სამყაროში გადის, უფრო ზუსტად – ჯეიკის მშობლიურ ქალაქში. როლანდი სამჯერ ესტუმრება ნიუ-იორკს ჩვენი დროის სხვადასხვა მონაკვეთში, რათა თავიც გადაირჩინოს და ის სამი ადამიანიც გამოარჩიოს და თავის სამყაროში წაიყვანოს, რომლებიც, ბედისწერის განჩინებით, ბნელი კოშკისკენ მიმავალ გზაზე უნდა დაემგზავრონ.

ედი დინი, იგივე „პატიმარი“, 1980-იანი წლების მიწურულს ნიუ-იორკში მცხოვრები ახალგაზრდა კაცია, ნარკომანი, რომელიც ჰეროინზეა დამოკიდებული. სანაპიროზე მდგარი კარის გავლით როლანდი ედი დინის გონებაში აღმოჩნდება იმ დროს, როცა თვითმფრინავი, რომლითაც ედის, ვინმე ენრიკო ბალაზარის დავალებით, დიდი რაოდენობით კოკაინი კონტრაბანდული გზით გადააქვს, ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში დაეშვება. ედის და როლანდს ერთად შემადრწუნებელი თავგადასავლები გადახდებათ; ბოლოს როლანდი ცოტაოდენი პენიცილინის შოვნას და ედი დინის თავის სამყაროში გადაყვანას ახერხებს. ედი მიხვდება, რომ გაიტაცეს და სულაც არ ახარებს ის ფაქტი, რომ იმ სამყაროში, სადაც აღმოჩნდა, ნარკოტიკი არ იშოვება (და სხვათა შორის, არც „პაპაის“¹ შემწვარი ქათმები).

¹ ამერიკული რესტორნების ქსელი.

მეორე კარს როლანდი „ჩრდილების ქალბატონთან“ – უფრო ზუსტად, ერთ სხეულში მცხოვრებ ორ ქალთან – მიჰყავს. ამჯერად როლანდი 1960-იანი წლების დასაწყისის ნიუ-იორკში აღმოჩნდება შავკანიანთა სამოქალაქო უფლებების დამცველი ახალგაზრდა აქტივისტის, ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული ოდეტა ჰოლმსის პირისპირ. ოდეტას სხეულში ცბიერი და სიძულვილით აღსავსე დეტა უოკერიც ბინადრობს. ამ გაორებული ქალის როლანდის სამყაროში გადაყვანა ედისა და ავადმყოფი მსროლელის მდგომარეობას საგრძნობლად ამძიმებს. ოდეტა ფიქრობს, რომ რაც მის თავს ხდება, მხოლოდ სიზმარია; აი, უფრო სასტიკი და გონიერი დეტა კი მიზნად როლანდის და ედის მოკვლას დაისახავს, რადგან ისინი მწამებელი თეთრკანიანი ეშმაკები ჰგონია.

ჯეკ მორტი, სერიული მკვლელი, რომელიც მესამე კარის (1970-იანების შუახანების ნიუ-იორკი) მიღმა იმალება, „სიკვდილია“. მორტმა ორჯერ მნიშვნელოვნად შეცვალა ოდეტა ჰოლმსის/დეტა უოკერის ცხოვრება, ოღონდ ამ ქალმა/ქალებმა ეს არ იცის/იციან. მორტის *modus operandi*² მსხვერპლისთვის ხელის კვრა ან მისთვის ზემოდან რამის სროლაა და თავისი გიჟური (მაგრამ საოცრად ფრთხილი) კარიერის განმავლობაში ოდეტას ერთიც გაუკეთა და მეორეც. როცა ოდეტა ბავშვი იყო, თავში მორტის მიერ ზემოდან ნასროლი აგური დაეცა და კომაში ჩავარდა. სწორედ მაშინ იშვა ოდეტას უჩინარი „და“, დეტა უოკერი. წლების შემდეგ, 1959 წელს, მორტი ოდეტას გრინვიჩ-ვილიჯში, მეტროს სადგურში გადაეყარა და ამჯერად ხელი ჰკრა. ოდეტა მეტროს მატარებელს ბორბლებში ჩაუვარდა და მართალია, მორტს კვლავ ცოცხალი გადაურჩა, მაგრამ მატარებელმა მუხლებს ქვემოთ ორივე ფეხი მოჰკვეთა. ოდეტა მეტროს სადგურში მყოფი ახალგაზრდა ექიმის გმირობამ (ან, შესაძლოა, მძვინვარე დეტა უოკერის სულიერმა სიმტკიცემ) იხსნა... ყოველ შემთხვევაში, უცხო თვალისთვის ასე ჩანს. აი, როლანდი კი ამ ურთიერთკავშირში მხოლოდ უბრალო დამთხვევას როდი ხე-

² კრიმინალისტიკაში – მოქმედების სტილი.

დავს; მისი რწმენით, ტიტანური ძალები, ბნელ კოშკს გარს რომ ერტყმიან, კვლავ ერთიანდებიან.

როლანდი შეიტყობს, რომ მორტი კიდევ ერთი საიდუმლოს გასაღებია, საიდუმლოსი, რომლის შედეგად წარმოქნილმა პარადოქსმა შესაძლოა, ადამიანი ჭკუიდან შეშალოს, რადგან ის, ვინც მორტს მორიგ მსხვერპლად შეუფუღლებია, როცა მსროლელი მის ცხოვრებაში შეაბიჯებს, თავად ჯეიკია, ბიჭუნა, რომელსაც როლანდი საფოსტო სადგურში შეხვდა და მთებში დასალუჰად განირა. როლანდი არასდროს დაეჭვებულა ჯეიკის მონათხრობში და მისი მკვლელის ვინაობაშიც დარწმუნებული იყო. რალა თქმა უნდა, ჯეიკი უოლტერმა მოკლა, ბიჭუნამ ხომ სიკვდილის წინ გარს შემოხვეულ ხალხში მღვდელივით შემოსილი კაცი შეამჩნია. როლანდი მაშინვე მიხვდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის.

თუმცა ახლა ეჭვი იპყრობს. არა, უოლტერი უეჭველად იქ იმყოფებოდა, მაგრამ იქნებ ჯეიკს ხელი ჯეკ მორტმა ჰკრა და არა უოლტერმა? ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია? როლანდი ზუსტად ვერ იტყვის, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ სად არის ახლა ჯეიკი? მკვდარია? ცოცხალია? სადმე დროში გაიჭედა? და თუ ჯეიკ ჩეიმბერსი ცოცხალი და სალ-სალამათია და თავის სამყაროში, 1970-იანების შუახანებში მანჭეტენზე მდებარე ბინაში ცხოვრობს, როლანდს რალატომ ახსოვს?

მიუხედავად ამ დამაბნეველი გარემოებისა და მომავალში მოვლენების სახიფათოდ განვითარებისა, როლანდი დაბრკოლებებს უმკლავდება და სამეულის გამორჩევას წარმატებით ასრულებს. ედი დინი როლანდის სამყაროში დარჩენაზე თანხმდება, რადგან „ჩრდილების ქალბატონი“ უყვარდება. დეტა უოკერი და ოდეტა ჰოლმსი, როლანდის სამეულის ეს ორი წევრი, ერთმანეთს ერწყმის; როლანდის ძალისხმევით, ოდეტა და მისი ალტერ ეგო ერთმანეთის არსებობას აღიარებენ და ახალი, მესამე პიროვნება წარმოიქმნება, რომელშიც დეტას და ოდეტას თვისებები გაერთიანებულია. ეს ჰიბრიდი ედი დინის სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობს. ოდეტა სუზანა ჰოლმსი და დეტა სუზანა უოკერი სუზანა დინად გადაიქცევა.

ჯეკ მორტი მეტროს იმავე მატარებელს ჩაუვარდება და დაიღუპება, რომელმაც თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის წინ ოდეტა დაასახიჩრა. არა უშავს, მორტის გამო გული მაინც არავის დასწყდება.

და აი, მრავალი წლის შემდეგ, ბნელი კოშკის მაძიებელი როლანდ გალაადელი მარტო აღარ არის. დიდი ხნის წინ დაკარგული მისი თანამგზავრები, ქათბერტი და ალენი, ედიმ და სუზანამ ჩაანაცვლეს... თუმცა მსროლელს მეგობრებისთვის უბედურება მოაქვს, ძალიან დიდი უბედურება – ეს არაერთხელ მომხდარა.

„უნაყოფო მიწებში“ ამ სამი პილიგრიმის შუა-სამყაროში მოგზაურობა გრძელდება. ბოლო კართან დაპირისპირების შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. მოგზაურები ზღვას საკმაოდ დაშორდნენ. დასვენების ხანა მთავრდება და სწავლის ხანა იწყება. სუზანა სროლას სწავლობს, ედი – გრავირებას... მსროლელი კი იმას სწავლობს, თუ რა საშინელებაა თანდათან ჭკუის დაკარგვა.

(კიდევ ერთი შენიშვნა: ჩემი ნიუ-იორკელი მკითხველები მიხვდებიან, რომ ქალაქის აღწერისას თავს მცირეოდენი გეოგრაფიული ცვლილებების შეტანის უფლება მივეცი. იმედია, ამისთვის არ გამინყრებით).

*ნაგავსაყრელი დალენილი სახეების, მზე რომ აცხუნებს,
სადაც მკვდარი ხე ჩრდილს არ მოგცემს, ჭრიჭინა ნუგეშს,
არც მშრალი ქვები გამოსცემენ წყლის ჩქრიალს. მხოლოდ
ჩრდილი არის განოლილი წითელი კლდის ქვეშ
(შემოდი ჩრდილში წითელი კლდის ქვეშ)
და მე გიჩვენებ რალაც უცხოს, განსხვავებულს
იმ ჩრდილისგან, შენ რომ მოგყვება ყოველ დილით,
და ჩრდილისგან, მზის ჩასვლისას რომ გეგებება;
მე შენ გიჩვენებ ერთ პეშვ მტვერში დაგუბებულ შიშს.³*

ტ. ს. ელიოტი
„უნაყოფო მიწა“

³ თარგმნა ზვიად რატინამა.

რომელი ნარშავის ღეროც დაბალ ძმებს
სიმაღლით სჯაბნიდა, ყველა დაეკვნიტათ.
ქორფა მჟაუნა რალაცას დაეგლიჯა –
ნეტავ რას? რა ერჩოდა მის ფოთლებს მწვანეს?
აქ აღბათ პირუტყვი დაეძებდა საკვებს,
ჩლიქებმა უმონყალოდ გატკეპნა მინა.

რობერტ ბრაუნინგი,
„ჩაილდ როლანდი ბნელ კოშკს მიადგა“

- ეს რა მდინარეა? – ზანტად იკითხა მილისენტმა.
- ეს მხოლოდ ღელეა; უფრო სწორად, ღელეზე ცოტა უფრო
დიდი ნაკადი. უნაყოფო ჰქვია.
- მართლა?
- დიახ, – უპასუხა უინიფრედმა, – მართლა.


რობერტ ეიკმენი,
„ხელი ხელთათმანში“

ც ი ბ ნ ი ვ ი რ ვ ე ლ ი
ჯ ე ი კ ი

ერთ პაშვ მტვერში დაბუბებულ შიში

I

საქართველო და ქვეყნები



სუზანა უკვე მესამედ ვარჯიშობდა სროლაში ნამდვილი საბრძოლო ვაზნების გამოყენებით... მაგრამ როლანდის მიერ სახელდახელოდ შეკერილი ბუდიდან რევოლვერის სწრაფად დაძრობა პირველად უნდა ეცადა.

საბრძოლო ვაზნები ბლომად ჰქონდათ, როლანდმა სამას ცალზე მეტი ნამოილო სამყაროდან, რომელშიც ედი და სუზანა გამორჩევამდე ცხოვრობდნენ. თუმცა მათი ფუჭად დახარჯვა მაინც არ ივარგებდა. პირიქით, ტყვიებს უნდა მოფრთხილებოდნენ. ღმერთები მფლანგველებს არ სწყალობენ. როლანდი, ჯერ მამამისმა და მერე კორტმა (დიდებულმა მასწავლებელმა), ამ რწმენით აღზარდეს და დღემდე ასე სწამდა. ღმერთები მყისვე არავის სჯიან, მაგრამ ადრე თუ გვიან ცოდვების გამოსყიდვა ყველას მოუწევს... რაც უფრო დიდხანს ივლი დაუსჯელად, მით უფრო მწარედ მოგეზღვება.

თუმცა ნამდვილი ტყვიები თავიდან არც სჭირდებოდათ. როლანდი, რომელსაც სროლის იმდენწლიანი გამოცდილება ჰქონდა, ინვალიდის ეტლში მჯდომი, ყავისფერკანიანი მზეთუნახავი ვერც კი წარმოიდგენდა, მას ჯერ დამიზნებასა და ფუჭი ტყვიებით ნი-

შანში მოხვედრებას ასწავლიდა. სუზანა ნიჭიერი მოსწავლე გამოდგა. ისიც და ედიც სწრაფად სწავლობდნენ სროლას.

როლანდს იმედი გაუმართლდა: მისი ახალი თანამგზავრები მსროლელებად იყვნენ დაბადებულები.

დღეს როლანდი და სუზანა ველობზე ვარჯიშობდნენ. უკვე მეორე თვე იწურებოდა, რაც ველობიდან ორიოდე კილომეტრით დაშორებულ ტყეში დაბანაკდნენ. ერთფეროვანი, მაგრამ საამუხრი დღეები ერთიმეორეს მისდევდა. მსროლელი იარებს იშუშებდა, თან ედის და სუზანა ასწავლიდა ყველაფერს, რაც უსათუოდ უნდა სცოდნოდათ: ნადირობას, ნანადირევის გატყავებას, გამოშიგვნას და გასუფთავებას; ტყავის გაშლას, გამრობას და გათრიმვლას; ვარსკვლავების მიხედვით გზის გაგნებას – „ძველი ვარსკვლავის“ მეშვეობით ჩრდილოეთის, ხოლო „მოხუცი დედის“ მეშვეობით სამხრეთის პოვნას; ტყის (რომელიც დასავლეთის ზღვიდან 90 კილომეტრზე მეტით იყო დაშორებული) ხმების მოსმენას. დღეს ედიმ ბანაკში დარჩენა არჩია, მაგრამ მსროლელს ეს არ სწყენია. როლანდმა იცოდა, რომ ყველაზე უკეთ ის გაკვეთილი გამახსოვრდება, რომელსაც დამოუკიდებლად ისწავლი.

თუმცა უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი უმნიშვნელოვანეს გაკვეთილად რჩებოდა: სროლა და ტყვიის მიზანში მორტყმა. კვლა – უმთავრესი ეს იყო.

ველობს სამი მხრიდან მუქი, სურნელოვანი ნაძვები ერტყარკალად. სამხრეთით ველობი დამრეც ფერდობში გადადიოდა და თიხაფიქალის შვერილებისა და დაბზარული ლოდებისგან თითქოს მითური გოლიათისთვის ხელოვნურად შექმნილი კიბის საფეხურებით ასიოდე მეტრით დაღმა ეშვებოდა. ტყიდან ანკარა ნაკადული მოედინებოდა, ველობის შუაგულს კვეთდა, თავიდან რბილ მიწასა და კენჭებს შორის გაჭრილ ღრმა კალაპოტში მიბუყბუყებდა, რათა შემდეგ კლდოვანი ციცაბო სარეცლიდან ხეობისკენ გადმომსკდარიყო.

წყალი ამ საფეხურებზე პატარ-პატარა ჩანჩქერებად იღვრებოდა და ლამაზ, მოციმციმე ცისარტყელებს წარმოქმნიდა. ქვემოთ

ნაკადულს დიდებული ხეობა ელოდა. ხეობაშიც ძირითადად ნაძვი და სულ რამდენიმე ვეება, საუკუნოვანი თელა ხარობდა, რომლებიც როგორღაც გასძლიანებოდნენ წინვოვნების შემოტევას. ეს უხვად შეფოთლილი და კოშკებით აღმართული ხეები მაშინაც ბებრები იქნებოდნენ, როცა როლანდის სამშობლო სრულიად ახალგაზრდა იყო. ხეობაში ხანძრის კვალი არსად ჩნდა, თუმცა თელებს ერთი-ორი ნამეხარი კი ეტყობოდა. როლანდი იმასაც ხვდებოდა, რომ აქაურობისთვის მეხი ერთადერთი საფრთხე არ უნდა ყოფილიყო. შორეულ წარსულში ამ ტყეებში ხალხი ცხოვრობდა. ბოლო კვირების განმავლობაში როლანდი რამდენჯერმე გადააწყდა მათ ნასახლარებს. მეტწილად პრიმიტიულ ნაშთებს პოულობდა, მაგრამ ერთი-ორგან გამომწვარი თიხის ნაკეთობის ნამსხვრევებიც აღმოაჩინა. მათ უცეცხლოდ ვერ დაამზადებდნენ, ცეცხლი კი ვერაგი რამაა, ყოველთვის ხელიდან დასხლტომას ლამობს.

ამ სასურათე სცენას უმნიკვლო ლურჯი ცა დასცქეროდა. ცაში რამდენიმე ყორანი ტრიალებდა და ბებრული, ხრინნიანი ხმით ჩხაოდა. ყორნები აფორიაქებულებს ჰგავდნენ, თითქოს ავდარი ახლოვდებოდა. როლანდმა ჰაერი შეიყნოსა, მაგრამ წვიმის სუნი ვერ იგრძნო.

ნაკადულის მარცხნივ, დიდ ლოდზე როლანდმა ქვის ექვსი ნატეხი დააწყო. ნატეხებს ქარვის ნამცეცები მიჰკვროდა და შუადლის თბილ შუქზე შუმის ნამსხვრევივით ბრწყინავდა.

– ბოლო შანსი გაქვს, – უთხრა სუზანას მსროლეღმა, – თუ ბუდე ოდნავ მაინც მოუხერხებელია, ახლავე მითხარი. აქ ვაზნების ფუჭად დასახარჯად არ მოვსულვართ.

სუზანამ აღმაცერად გამოხედა და როლანდს წამით მოეჩვენა, რომ დეტა უოკერი უყურებდა.

– რას იზამ, ბუდე მოუხერხებელი რომ აღმოჩნდეს და მე არ გაგიმხილო? ან ექვსივე ტყვია მიზანს რომ ავაცდინო? იმ შენი ძველი მასწავლებელივით მუშტს ჩამცხებ თავში?

მსროლეღს გაელიმა. ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში უფრო ხშირად იღიმებოდა, ვიდრე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

– ამას ვერ ვიზამ და ეს კარგად იცი. ჯერ ერთი, მაშინ ბავშვები ვიყავით, დაკაცების რიტუალი არ გავგველო. ბავშვს, ჭკუის სასწავლებლად, შეგიძლია სილა გაანწა, მაგრამ...

– ჩემს სამყაროში საზოგადოების მალალი ფენა ბავშვის გატყუებას ცუდი თვალთ უყურებს, – ცივად შენიშნა სუზანამ.

როლანდმა მხრები აიჩეჩა. მას ასეთი სამყაროს წარმოდგენა უჭირდა. განა „დიდ ნიგნში“ არ წერია, ვინც შვილისთვის წკეპლას დაიშურებს, ბავშვს გააფუჭებსო? თუმცა ისიც სჯეროდა, რომ სუზანა არ ცრუობდა.

– შენი სამყარო არ დაძრულა, – უთხრა ქალს, – იქ ბევრი რამ სხვანაირია. ეს საკუთარი თვალთ ვნახე!

– ალბათ.

– ყოველ შემთხვევაში, შენ და ედი ბავშვები აღარა ხართ და ბავშვებივით ვერ მოგექცევით. თანაც, თქვენ გამოცდას გაუძეულით.

როლანდს ხმამამღლა არ უთქვამს, მაგრამ გაახსენდა, როგორ დახოცა და ჯოჯოხეთის გზას გაუყენა სუზანამ სამი დამშეული კიბოურჩხული, სანამ საზარელი არსებები როლანდს და ედის ცოცხლად გადასანსლავდნენ. პასუხად სუზანამაც გაიღიმა და როლანდმა გაიფიქრა, ეტყობა, მასაც ის დღე ახსენდებაო.

– აბა, რას იზამ, მიზანს რომ ავაცდინო?

– შემოგხედავ. მგონი, ესეც საკმარისი იქნება.

სუზანა დაფიქრდა და მერე თავი დააქნია.

– ალბათ.

კვლავ შეამონმა სავაზნე სარტყელი, რომელიც მკერდზე მხარილლივ ჰქონდა გადაკიდებული. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბუდე იყო, მაგრამ როლანდს მრავალი კვირა დასჭირდა მის გადასაკეთებლად და არაერთგზის შესამონმებლად. ქამარი და რევოლვერი, რომლის გაცვეთილი სანდალოზის ტარი ბუდიდან ამოჩრილიყო, ოდესღაც მსროლელს ეკუთვნოდა. ეს ბუდე უნინ მის მარჯვენა ბარძაყს ეხახუნებოდა, მაგრამ ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში როლანდი უნებურად შეეგუა ფაქტს, რომ ის ძველად-

გილს აღარასოდეს დაუბრუნებოდა. კიბოურჩხულების წყალობით როლანდი ცაცია მსროლელად იქცა.

– აბა, როგორია? – კიდევ ერთხელ ჰკითხა სუზანას.

ამჯერად მან კი არ გაუღიმა, დასცინა.

– როლანდ, ეს ძველი ბუდე ამაზე მოხერხებული ვერ გახდება. რა ვქნათ, ვისროლო თუ ვისხდეთ და ყორნების ჩხავილს ვუსმინოთ?

როლანდმა იგრძნო, კანქვეშ კუნთები როგორ დაეძაბა. მსგავს ვითარებაში ალბათ კორტიც იგივეს გრძნობდა, ოღონდ მისი უხეში, უჟმური სახე ემოციებს მალავდა. მსროლელს უნდოდა, რომ სუზანას მიზანში მოერტყა... კი არ უნდოდა, სჭირდებოდა. თუმცა, ამ სურვილის სუზანასთვის გამჟღავნება უბედურების მეტს არაფერს მოიტანდა.

– კიდევ ერთხელ მოჰყევი გაკვეთილს, სუზანა.

ქალმა თვალთმაქცურად ამოიოხრა... მაგრამ ლაპარაკისას მუქი, ლამაზი სახიდან ღიმილი წაეშალა და დასერიოზულდა. მისი ბაგეებიდან ძველი კატეხიზმო ახლებურად გაისმა. როლანდს არ ეგონა, ამ სიტყვებს ოდესმე ქალისგან თუ მოისმენდა. სიტყვები ბუნებრივად ჟღერდა... თან უცხოდ და სახიფათოდ.

– მე ხელით არ ვუმიზნებ. მას, ვინც ხელით უმიზნებს, დავინყებია სახე მამისა.

– მე თვალთ ვუმიზნებ.

– მე ხელით არ ვისვრი. მას, ვინც ხელით ისვრის, დავინყებია სახე მამისა.

– მე ჭკუით ვისვრი.

– მე რევოლვერით არა ვკლავ...

სუზანამ სიტყვა განყვიტა და ლოდზე ქარვასავით აბრჭყვიალებულ ქვებზე მიუთითა.

– არაფერსაც არ ვკლავ!.. იქ მხოლოდ ქვის ნატეხები აწყვია.

სუზანას გამომეტყველება – ცოტათი ქედმაღლური და ცოტათი უხამსი – ამბობდა, რომ როლანდის გაღიზიანება, ან სულაც, განრისხება უნდოდა. თუმცა როლანდს მსგავსი გამობტომები აღარ აღიზიანებდა. მას კარგად ახსოვდა, რაოდენ ურჩები და ფიცხები იყვნენ

შეგირდი მსროლელები, რა უადგილოდ და თავხედურად იცოდნენ კბენა... და მოულოდნელად საკუთარ თავში მასწავლებლობის უნარი აღმოაჩინა. მას მასწავლებლობა შეეძლო! უფრო მეტიც, მოსწონდა კიდევ ეს საქმე და ხანდახან იმასაც ფიქრობდა, ნეტა კორტიც ამავეს გრძნობდა თუ არაო. ალბათ, ასე იქნებოდაო, – დაასკვნა ბოლოს.

ახლა უკვე ტყეშიც აჩხავლდნენ ყორნები. როლანდმა მექანიკურად გააცნობიერა, რომ ყორნები ისე არ ჩხაოდნენ, როგორც კინკლაობისას იცოდნენ. ისინი თითქოს რალაცამ დააფრთხო. თუმცა იმ მომენტში ამაზე თავის სამტვრევად არ ეცალა, ეს ცნობა მეხსიერების ერთ-ერთ კუნჭულში შეინახა და მთელი ყურადღება ისევ სუზანაზე გადაიტანა. სხვანაირად რომ მოქცეულიყო, შეგირდი ხელახლა, უფრო მწარედ წაკბენდა. და ეს ვისი ბრალი იქნებოდა? ცხადია, მასწავლებლის. განა თავად არ ასწავლიდა სუზანას (და ედის) კბენას? განა მსროლელი ბრძანებისამებრ კბენაზე დაგეშილი ადამიანი-შევარდენი არ არის?

– არა, – უპასუხა სუზანას, – ეს ქვის ნატყეხები არ არის.

სუზანამ ოდნავ აზიდა წარბები და გაიღიმა. რაკი მსროლელი არ გაუნყრა (ჯერჯერობით მაინც), როგორც ზოგჯერ უწყნებოდა სიზანტის ან ჭირვეულობის გამო, დეტა უოკერის დამცინავი გამომეტყველება მიიღო.

– ვითომ? – სარკასტულად თქვა მან. როლანდმა გადაწყვიტა, არ აპყოლოდა, რადგან მისი შეგირდი აფხორილი და დაძაბული ჩანდა და კლანჭების გამოსაჩენად ემზადებოდა.

– არა, არ არის, – თავადაც დამცინავად უპასუხა და გაიღიმა, ოღონდ მისი ღიმილი ცივი და კუმტი იყო. – სუზანა, გახსოვს ის თეთრი ნაბიჭვრები?

სუზანას სახიდან ღიმილი წაეშალა და მოიღუშა: – ოქსფორდ-ტაუნელი თეთრი ნაბიჭვრები?

– გახსოვს, რა გიყვეს შენ და შენს მეგობრებს თეთრმა ნაბიჭვრებმა?

– ის მე არ ვიყავი, – თქვა სუზანამ, – სხვა ქალი იყო, – და მსროლელს ბრაზიანი მზერა მიაპყრო. როლანდს სძულდა ეს მზე-

რა, მაგრამ თან მოსწონდა კიდეც. ეს ის იყო, რაც მას ახლა სჭირდებოდა – იმაზე მეტყველებდა, რომ სახმელებელს ცეცხლი წაეკიდა და მალე შეშის დიდი ღერებიც აბრიალდებოდა.

– კი, შენ იყავი. მოგწონს თუ არა, ის ქალი ოდეთა სუზანა ჰოლმისი იყო, ასული სარა უოკერ ჰოლმისა. არა, ახლანდელი კი არა, უწინდელი შენ იყავი. გახსოვს სახანძრო შლანგები, სუზანა? გახსოვს ის ოქროს კბილები, ოქსფორდში შენ და შენს მეგობრებს შლანგებით წყალი რომ გასხეს, მაშინ რომ დაინახე? გახსოვს, როგორ ელაგდა ის კბილები გალიმებისას?

ამ ამბებს სუზანა თავად უყვებოდა როლანდს ღამღამობით, როცა მინავლებული კოცონის ირგვლივ ისხდნენ. როლანდი ბევრ რამეს ვერ ხვდებოდა, მაგრამ მაინც ყურადღებით უსმენდა და მოსმენილს იმახსოვრებდა. ტკივილი მექანიზმი იყო და ზოგჯერ – ძალიან გამოსადეგი.

– რა გეტაკა, როლანდ? იმ საშინელებებს რატომ მახსენებ? – ახლა უკვე მუქარით შეუბღვირა სუზანამ მასწავლებელს. როლანდს გულკეთილი ალენი გაახსენდა. ისიც სწორედ ასე აბრიალებდა თვალებს ხანდახან, როცა მოთმინებას დაკარგავდა და გაცხარდებოდა.

– ის ქვები ადამიანებია, – მშვიდად თქვა როლანდმა, – ხალხი, რომელმაც საკანში გამოგკეტა და სიბინძურესა და საკუთარ მოსაქმებულში დაგტოვა. ხალხი, რომელიც „ნაბოზარ ზანგს“ გეძახდა.

შემდეგ ქვებზე მიუთითა მარცხნიდან მარჯვნივ.

– აი, ის ძუძუებზე გჩქმეტდა და იცინოდა. აი, იმან გითხრა, უნდა შეგამოწმო, ტრაკში რამე ხომ არ გაქვს გათხრილიო. აი, იმან ხუთასდოლარიან კაბაში გამოწყობილი შიმპანზე გიწოდა. აი, ის შენი ინვალიდის ეტლის ბორბლებს იმდენ ხანს ურტყამდა ხელკეტს, რომ ხმაურმა კინალამ ჭკუიდან შეგშალა. აი, ის შენს მეგობარ ლეონს კომუნისტ პედერასტს ეძახდა. აი, ის ბოლო კი, სუზანა, ჯეკ მორტია. შეხედე, აი, ის ქვები. ის ხალხი.

სუზანა მძიმედ სუნთქავდა, ვაზნებით დამძიმებული სავაზნე სარტყლის ქვეშ მკერდი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა. როლანდს აღარ

უყურებდა, ქარვასავით მოელვარე ქვის ნატეხებს მიშტერებოდა. უეცრად სამიზნის იქით, ოდნავ მოშორებით, ხე გადატყდა და წაიქცა. ცაში უფრო მეტი ყორანი აჩხავლდა. თამაშში (რომელიც თამაში აღარ იყო) ღრმად ჩაფლულ როლანდს და სუზანას ეს არ შეუმჩნევიათ.

– მამ, ეგენი არიან? – ღრმად ჩაისუნთქა სუზანამ.

– კი. ახლა კი მოჰყევი გაკვეთილს, სუზანა დინ, და იყავ შეუცდომელი!

ამჯერად სუზანას პირიდან სიტყვები ცინულის ნატეხებივით ცვიოდა. ინვალიდის ეტლის სახელურზე დაყრდნობილი მარჯვენა ხელი ოდნავ უთრთოდა, თითქოს ძრავა მუშაობა ფუჭად.

– მე ხელით არ ვუმიზნებ. მას, ვინც ხელით უმიზნებს, დავინყებია სახე მამისა.

– მე თვალით ვუმიზნებ.

– ყოჩაღ!

– მე ხელით არ ვისვრი. მას, ვინც ხელით ისვრის, დავინყებია სახე მამისა.

– მე ჭკუით ვისვრი.

– ყოველთვის ასე ყოფილა, სუზანა დინ.

– მე რევოლვერით არ ვკლავ. მას, ვინც რევოლვერით კლავს, დავინყებია სახე მამისა.

– მე გულით ვკლავ.

– მაშინ დახოცე ყველა, მამაშენის გულისთვის! – დაუყვირა როლანდმა. – დახოცე ყველა!

სუზანამ მარჯვენა ხელი ელვის უსწრაფესად ასწია ინვალიდის ეტლის სახელურიდან და როლანდის ექვსვაზნიანი რევოლვერის ტარს დასტაცა. როლანდმა მხოლოდ გადაღბნილ ლაქას მოჰკრა თვალი. მეორე წამს რევოლვერი ბუდეში აღარ იდო; სუზანამ მარცხენა ხელი ჩახმახისკენ დაუშვა და თითქოს კოლიბრი ფრთას იქნევსო, სწრაფად და სხარტად შეაყენა. ექვსჯერ შემოირბინა ყრუ ტკაცანის ხმამ ხეობა და ლოდზე დაწყობილი ექვსი ქვის ნატეხიდან ხუთი გაუჩინარდა.

წამით არც სუზანას და არც როლანდს ხმა არ ამოუღიათ, თითქოს სუნთქვაშეკრულები იცდიდნენ, როდის ჩანყნარდებოდა ექო. ცოტა ხნით ყორნებიც კი დადუმდნენ.

სიჩუმე მსროლელმა დაარღვია უფერული, მაგრამ უჩვეულოდ ემფატიკური სიტყვით: – ჩინებულია!

სუზანამ რევოლვერს ისე დახედა, თითქოს ხელში უცხო საგანი ეჭირა. ლულიდან კვამლი ამოდიოდა – იდეალურად სწორად იმ უქარო მდუმარებაში. შემდეგ რევოლვერი ბუდეში ჩააბრუნა.

– კარგია, მაგრამ ჩინებული არ არის, – ხმა ამოიღო ბოლოს, – ერთ ნატეხს ავაცდინე.

– ვითომ? – როლანდი ლოდთან მივიდა და დარჩენილი ნატეხი აიღო. ყურადღებით დაათვალიერა და სუზანას გადაუგდო.

ქალმა ნატეხი მარცხენა ხელით დაიჭირა; მარჯვენა ხელს რევოლვერის ბუდეს არ აშორებდა და მსროლელს ეს ძალიან ახარებდა. სუზანა ედიზე უკეთ და ძალდაუტანებლად ისროდა, მაგრამ ეს კონკრეტული გაკვეთილი ედიმ უფრო სწრაფად აითვისა. ალბათ, იმიტომ, რომ ბალაზარის ლამის კლუბში ატეხილი სროლისას ედი მასთან იყო, სუზანა კი არა. ახლა სუზანა ამასაც სწავლობდა და ეს მის მასწავლებელს მოსწონდა. ქალმა ქვას დახედა და მის ზედა კუთხეში სამიოდე მილიმეტრის სიღრმის ნაკანრი შეამჩნია.

– მხოლოდ გაფხაჭნე, – უთხრა როლანდმა, – თუმცა ბრძოლისას ხანდახან გაფხაჭნაც საკმარისია... თუ მეტოქეს გაფხაჭნი და ტყვიას ააცდენინებ... – როლანდი წამით შეყოვნდა. – ეგრე რატომ მიყურებ?

– ვერ ხვდები? მართლა ვერ ხვდები?

– ვერა. შენი გონება ზოგჯერ დახშულია ჩემთვის, სუზანა.

როლანდის ხმაში თავის მართლება არ იგრძნობოდა. სუზანამ უკმაყოფილოდ ამოიოხრა. მისი პიროვნების მკვეთრი და უეცარი ცვლილება როლანდს ზოგჯერ ანერვიულებდა; სამაგიეროდ, სუზანას როლანდის პირდაპირობა აღიზიანებდა. იგი პირველად ხედავდა ადამიანს, რომელიც მუდამ იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა.

– კარგი, გეტყვი, ასე რატომაც გიყურებ, როლანდ. შენ ურცხვად მომატყუე. მითხარი, სილას არ გაგარტყამ, ვერ გაგარტყამ, თუნდაც მეუზრდელიო... მაგრამ ან იცრუე, ან ახლა თავს ისულელელებ; მე კი მშვენივრად ვიცი, რომ შენ სულელი არ ხარ. ჩემი მოდგმის ქალები და კაცები დამემომნებებიან, რომ ადამიანი ყოველთვის ხელებს როდის იყენებს დასარტყმელად. ჩემს სამყაროში ერთი გამოთქმა გვაქვს: „ქვებით და ჯოხით ხელ-ფეხს დამამტვრევთ...“

– ...აი, დაცინვით კი ვერაფერს დამაკლებთ“, – დაასრულა როლანდმა.

– დაახლოებით, მაგრამ მე ამის არ მჯერა. რაც შენ ჩაიღინე, იმას ენით დაკოდვას ეძახიან. შენმა სიტყვებმა გული მატკინა, როლანდ. გინდა, დავიჯერო, რომ არ იცოდი, ასე თუ მოხდებოდა?

სუზანა ინვალიდის ეტლიდან სრულიად სერიოზული სახით უყურებდა და როლანდმა გაიფიქრა, ეტყობა, მის ქვეყანაში ან მართო იდიოტი თეთრი ნაბიჭვრები ცხოვრობდნენ, ან ძალიან გულადები, რომ ამ ქალის გაბრაზებას ბედავდნენო. ინვალიდის ეტლით თუ უეტლოდ, სუზანა ძალიან საშიში ჩანდა. როლანდმა კი საკმაოდრო გაატარა მის თანამემამულეთა შორის და მათ სიმამაცეში ეჭვი ეპარებოდა.

– მე შენი გულისტკივილი არ მანაღვლებს და ამაზე არც მიფიქრია, – მშვიდად უპასუხა ქალს. – დავინახე, როგორ დაკრიჭე კბილები და მივხვდი, რომ კბენას აპირებდი, ჰოდა, მეც ჯოხი ჩაგჩარე პირში. მგონი, იმოქმედა... არა?

სუზანას სახეზე წყენას გაკვირვება შეერია.

– შე ნაბიჭვარო!

შეპასუხების ნაცვლად, როლანდმა ბუდიდან რევოლვერი ამოიღო, მარჯვენა ხელზე შერჩენილი სამი თითით ბარაბანი გახსნა და მარცხენა ხელით ვაზნების გამოღება დაიწყო.

– ქედმაღალ ცაცეებს შორის...“

– შენ კბენა გჭირდებოდა, – კვლავ აულელვებლად გაანყევტინა სიტყვა როლანდმა, – სხვანაირად მიზანს ააცდენდი, ხელითა და რევოლვერით ისროდი და არა – თვალით, ჭკუითა და გულით.